

- **უფრო სწრაფი ანგარიშსწორება.** ალტერნატიულ გადახდებთან შედარებით ელექტრონული გადახდების დროს ბევრად სწრაფად ხდება სახსრების ჩარიცხვა გამყიდველის ანგარიშზე;
- **გადახდების განხორციელების შესახებ ინფორმაციის უფრო სწრაფი და ოპერატიული დამუშავება;**
- **ქალაქების დოკუმენტბრუნვის შემცირება;**
- **გაყიდვების განხორციელება ნაღდი ფულის გარეშე.**

ამ უპირატესობებმა განაპირობეს ელექტრონული საბანკო მომსახურების პოპულარობა როგორც ბანკებს, ისე მყიდველებს შორის. თავის მხრივ, კომერციული ბანკები ყოველნაირად ცდილობენ სავაჭრო ობიექტების სტიმულირებას, რათა გაზარდონ მათი ინტერესი, შეიძინონ ან იჯარით აიღონ ელექტრონული მოწყობილობები, შესაბამისად – დანერგონ ანგარიშსწორებისა და გადახდების ახალი სისტემები.

საკონტროლო კითხვები:

1. რა შეიძლება თქვით ზოგადად პლასტიკური ბარათის შესახებ და მისი რომელი ნაირსახეობები იცით?
2. როგორ დაახასიათებდით საბანკო პლასტიკურ ბარათს და მის მნიშვნელობას?
3. რა იცით საბანკო პლასტიკური ბარათების შექმნის შესახებ?
4. რა არის პერსონიფიცირება და რა სავალდებულო მონაცემები დაიტანება საბანკო პლასტიკურ ბარათზე?
5. რა იცით საბანკო პლასტიკურ ბარათზე ინფორმაციის დატანის გზების შესახებ?
6. რა სახეობის პლასტიკური ბარათები იცით?
7. რა შეგიძლიათ თქვით საბანკო პლასტიკური ბარათების მომსახურებისათვის საჭირო პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების შესახებ?
8. რას გულისხმობს ავტორიზაცია საბანკო პლასტიკურ ბარათებთან მიმართებაში?
9. რა იცით პლასტიკური ბარათების საერთაშორისო საგადახდელო სისტემების შესახებ?

10. Visa პლასტიკური ბარათების რომელი სახეობები იცით?
11. რა შეგიძლიათ თქვათ საბანკო პლასტიკური ბარათის მფლობელების დაცვის, ბარათის არასანქცირებული მოხმარებისაგან დაცვის მექანიზმების შესახებ?
12. როგორია ის დადებითი ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია დისტანციურ საბანკო მომსახურებასთან?
13. რას გულისხმობს ტერმინი „დისტანციური საბანკო მომსახურება“?
14. რა მომსახურებას მოიცავს ინტერნეტ-ბანკინგი?
15. რა უპირატესობებით ხასიათდება ინტერნეტ-ბანკინგის გამოყენება ფიზიკური პირებისათვის?
16. რას ნიშნავს ე.წ. „ვირტუალური ბანკები“?
17. როგორ განმარტავდით „ბანკომატს“?
18. როგორია ბანკომატის შექმნის ისტორია?
19. როგორია ბანკომატის მუშაობის პრინციპი ფულის გაცემისას?
20. რა უპირატესობების მატარებელია ბანკომატი ბანკებისა და მათი კლიენტებისათვის?
21. რას გულისხმობს სავაჭრო ობიექტში სახსრების ელექტრონული გადარიცხვის პროცესი?
22. რა უპირატესობებით ხასიათდება ელექტრონული გადახდების სისტემები სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში ანგარიშსწორებისას?